ხელშეკრულება № 77

ქ. ყვარელი 8 ნოემბერი 2015 წელი

ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თორნიკე მოლაშვილის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ს.ს. კორპორაცია "ქინძმარაულის" გენერალური დირექტორის ნუგზარ ქსოვრელის სახით, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ყვარელის კულტურის განვითარების ცენტრი, ს.ს. კორპორაცია "ქინძმარაულისგან" შეიძენს სასანუქრე ღვინოებს, ილიაობის დღესასწაულთან დაკავშირებით (cpv18500000).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 8 ნოემბრიდან 2015 წლის 9 ნოემბრამდე

2.2 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს 47 (ორმოცდაშიდი)ლარი.

3.. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, „მიმწოდებლის" მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

4..2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განახორციელოს შესაბამისი საქონლის მოწოდება, უზრუნველყოს ხარისხი და დაასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული დღისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.15% ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1.5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6..2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ზოგადი დებულებები

7.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

7.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

9. დავათა განხილვის წესი

9.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქვარლის კულტურის განვითარების ცენტრი;	ს.ს კორპორაცია "ქინძმარაული""
მისამართი კუდიგორის ქ. №2;	მის: ქ. ქვარელი, ჭავჭავაძის ქ. 55
საიდენტიფიკაციო კოდი 241580240	ს/კ 241557409
საბანკო რეკვიზიტები ლიბერთი ბანკის	საბანკო რეკვიზიტები საქართველოს ბანკი.
ქვარლის ფილიალი ბანკის კოდი **LBRTGE22**	ბანკის კოდი: **BAGAGE22**
ანგარიში №**GE16LB0115160882532000**	ანგ. №**GE89BG0000000151788300**
ქვარლის კულტურის განვითარების	გენერალური დირექტორი
ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	
_____ /ნ.ბოლქვაძე/	_____ /ნ.ქსოვრელი/